ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის ნოდარ გიორგიძის ანგარიში, მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ 2023 წელში გაწეული მუშაობის შესახებ

პატივცემულო კოლეგებო,
ქალბატონებო და ბატონებო,

ჩემთვის დიდი პატივია კიდევ ერთხელ წარმოგიდგინოთ მუნიციპალიტეტის საკრებულოს ანგარიში გასული 2023 წლის საქმიანობის.

პირველ რიგში ჩემი დღევანდელი გამოსვლა მინდა დავიწყო მოლოცვით, განვლილ საანგარიშო პერიოდში საქართველო გახდა ევროკავშირის წევრობის კანდიდატი ქვეყანა.ეს არის ჩვენი ქვეყნის მრავალი თაობის ოცნების ახდენა, რაც ბუნებრივია მარტივი არ ყოფილა. ჩვენ მრავალი გამოწვევით აღსავსე პერიოდი და ეტაპი გავიარეთ, იყო სირთულეები, ბევრი განსაცდელი, მაგრამ დღევანდელმა ხელისუფლებამ ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ ჩვენი ქვეყნის ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე მიეღწია ამ მიზნისათვის, რაც ძირითადად ეფუძნებოდა ჩვენი ხალხის ინტერესებს.

ამ მიზნის მისაღწევას ქვეყნის ხელისუფლებამ ჯერ კიდევ 2012 წელს ჩაუყარა საფუძველი, როცა გადაიბარა ქვეყნის მართვის სადავეები.. დაწყებული ჯერ კიდევ ასოცირების შეთანხმების გაფორმებით, თავისუფალი ვაჭრობა, უვიზო რეჟიმი. კონსტიტუციაში ჩაიწერა საგარეო პოლიტიკის მთავარი პრიორიტეტი, რაც დაგვირგვინდა 2023 წლის დეკემბერში კანდიდატის სტატუსის მონიჭებით.

ასევე მნიშვნელოვანი იყო გასულ წელს, ქვეყნის მშვიდობისა და სტაბილურობის შენარჩუნება. მიუხედავათ უკრაინაში მიმდინარე საომარი მოქმედებებისა, გარე და შიგა ძალების მცდელობისა, ქვეყანა ჩაეთრიათ ამ ომში, კრახით დამთავრდა, რაც ქვეყნის დღევანდელი ხელისუფლების დამსახურებაა.

გარკვეული დადებითი და პოზიტიური შედეგები იქნა მიღებული ქვეყნის ეკონომიკის განვითარების კუთხით. მნიშველოვნად გაიზარდა ქვეყნის შიდა პროდუქტის მოცულობა, ბოლო 11 წლის მანძილზე 3-ჯერ გაიზარდა ქვეყნის ეკონომიკა, გასამაგდა ბიუჯეტის მოცულობა, საგრძნობლად შემცირდა ინფლაცია, შესაძლებელი გახდა მისი მართვა და კონტროლი. 2.5-ჯერ გაიზარდა დასაქმებულთა საშუალო ხელფასი, უმუშევრობის დონე ამავე პერიოდში 27 % - დან 17% - მდე შემცირდა, 15%-მდე ჩამოვიდა სიღარიბის მაჩვენებელი, გრძელდება უმუშევრობის შემცირების ტენდეცია.

მოგეხსენებათ აღნიშნულმა დადებითმა შედეგებმა გავლენა მოახდინა ადგილობრივ დონეზე ჩვენს საქმიანობაზე. სანამ ჩვენი მუნიციპალიტეტის ეკონომიკურ ჭრილში მოგახსენებდეთ ძირითად მაჩვენებლებს, რომელიც გვაქვს, მინდა პირველ რიგში მოგახსენოთ მუნიციპალიტეტის საკრებულოს საქმიანობის თაობაზე განვლილ საანგარიშო პერიოდში, რომელიც ძირითადში ეფუძნებოდა მუნიციპალიტეტის საკრებულოს მუდმივმოქმედი კომისიების, ცალკეული საკრებულოს წევრების, მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი სამსახურების საქმიანობის ერთობლიობას.

როგორც მოგეხსენებათ მუნიციპალიტეტის მე-8 მოწვევის საკრებულო საქმიანობას შეუდგა 2021 წლის 3 დეკემბრიდან. გასულ, 2023 წლის საანგარიშო პერიოდში მოწვეული იქნა და ჩატარდა საკრებულოს 19 სხდომა (მათ შორის 7 რიგგარეშე სხდომა, რიგგარეშე სხდომები ძირითადად მოწვეული იყო მუნიციპალიტეტის მერის წინადადებით). ჩატარდა ბიუროს ამდენივე სხდომა, საკრებულოს ამ პერიოდში განხილული აქვს 104 საკითხი, რაზედაც მიღებულია შესაბამისი გადაწყვეტილებები. მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომებზე სამართებრივი აქტის სახით მიღებული იქნა 93 გადაწყვეტილება, მათ შორის: დადგენილება გამოტანილია 23 საკითხზე, ხოლო განკარგულება 70 საკითხზე, 11 საკითხი სხდომამ ცნობათ მიიღო. რიგგარეშე სხდომებზე განხილულია 15 საკითხი. მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომებზე განხილული 104 საკითხიდან, მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი სამსახურების ინიციატივით შემოსულია 88 საკითხი, განვლილ საანგარიშო პერიოდში სხდომების მოწვევასა და ჩატარებაში ჩავარდნას ადგილი არ ჰქონია, ყველა მორიგი სხდომა ჩატარდა საკრებულოს რეგლამენტით გათვალისწინებულ ვადებში. საკრებულოს ყველა სხდომა ტარდებოდა ღიად და საჯაროდ, მოსახლეობას ჰქონდა საშუალება აკონტროლოს საკრებულოს საქმიანობა, საკრებულოში მიმდინარე ყველა პროცესი გამჭირვალეა, საკრებულოს, საკრებულოს კომისიებისა და საკრებულოს ბიუროს სხდომები ტარდება ღიად და ყველა დაინტერესებულ პირს აქვს საშუალება დაესწროს მას. ყველა მოთხოვნა ფიზიკური და იურიდიული პირებისაგან საჯარო ინფორმაციის მიღებაზე, რომლის მომზადებასა და გაცემაზე პასუხიმგებელია

საკრებულოს აპარატი, მიეწოდებოდათ შეუფერხებლად და ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით გათვალისწინებული ვადების დაცვით.
საკრებულოს, საკრებულოს კომისიების და საკრებულოს ფრაქციების საქმიანობის ორგანიზაციულ ტექნიკურ უზრუნველყოფას ახორციელებს საკრებულოს პირველადი სტრუქტურული ერთეული - საკრებულოს აპარატი, რომელიც შესდგება 8 პროფესიული საჯარო მოხელისაგან და დამატებით სხვადასხვა დამხმარე და არამუდმივი ფუნქციების შესრულებისათვის, შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული გვყავს რამდენიმე საჯარო მოსამსახურე.
„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნის შესაბამისად ყოველწლიურად ხდება აპარატის თანამშრომელთა შეფასება წლის შედეგების შესაბამისად, ასევე შესაძლებელია გამოყენებული იქნეს ყოველკვარტალური შეფასების მეთოდი ახლად მიღებული თანამშრომლების მიმართ. გასული წლის ბოლოს განვახორციელეთ აპარატის თანამშრომელთა გეგმიური წლიური შეფასება, რომლის მიხედვით აპარატის 5 პროფესიულ საჯარო მოხელეს მიენიჭა სამი წლის შეფასების შედეგების მიხედვით მე-2 კლასი, ხოლო აპარატის უფროს მე-3 კლასი, რაც შეეხება აპარატის ორ თანამშრომელს მიენიჭა **პირველი** კლასი. პერიოდულად ვახორციელებთ საჯარო მოხელეთა გადამზადებას და პროფესიულ განვითარებას, რაც მდგომარეობს მათ დატრენინგებაში, სწავლებაში. მიმდინარე წელში ადგილობრივი ბიუჯეტიდან დავაფინანსეთ საკრებულოს აპარატის 1 თანამშრომლის სწავლება.
როგორც საკრებულოს წევრები, ასევე საკრებულოს აპარატის თანამშრომლები აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ სამთავრობო უწყებებისა, თუ სხვდასხვა არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ ორგანიზებულ ტრეინინგებსა და კონფერენციებში.
საკრებულოს აპარატში გასულ 2023 **წელში შემოსული და რეგისტრირებულია 295 სხვადასხვა** სახის განცხადება, მომართვა თუ კორესპოდენცია. მომზადდა და სხვადასხვა დანიშნულებით გაიგზავნა 299 წერილი, შიდა დოკუმენტბრუნვაში მოექცა 38 შიგა დოკუმენტი (მოხსენებითი და სამსახურეობრივი ბარათი, ცნობა და ა.შ.). საჯარო ინფორმაციის მოთხოვნაზე შემოსულია 11 განცხადება, 4 მოქალაქემ მოგვმართა სხვადასხვა საკითხებზე, ერთი განცხადება შემოსულია პეტიციის სახით. ყველა შემოსულ დოკუმენტზე მოხდენილია შესაბამისი რეაგირება, განმეორებით ერთი და იმავე საკითხზე მომართვას ადგილი არ ჰქონია.
2023 წლის 1 იანვრიდან ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოში გამოცემული იქნა 193 ბრძანება. აქედან 99 ბრძანება შვებულების შესახებ, საკრებულოს სხდომის მოწვევის შესახებ -19, მათ შორის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის მოწვევის შესახებ-7 ბრძანება, მივლინების შესახებ-25 ბრძანება, საკრებულოს წევრების ხარჯების ანაზღაურების შესახებ-12, საწვავის ლიმიტის განსაზღვრის შესახებ-12 ბრძანება, შრ.ხელშეკრულების გაფორმების შესახებ-31, ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე-1 ბრძანება, საჯარო მოხელეებზე ჯილდოს გაცემის შესახებ-1 ბრძანება, შვებულების გადატანის შესახებ-2 ბრძანება. საკრებულოს კომისიების საკურატორო დარგების განაწილების შესახებ -1 ბრძანება,
საკრებულოს კომისიების, ბიუროსა და საკრებულოს სხდომის მოწვევის თარიღი, ჩატარების დრო, დღის წესრიგი და სხდომების ჩატარების ადგილი, ქვეყნდება საინფორმაციო დაფაზე და საკრებულოს წევრებს ეცნობება ელექტრონული ფოსტის მეშვეობით. ყველა საჯარო ინფორმაცია, მათ შორის სხდომების მოწვევის თარიღი, ჩატარების დრო, განსახილველი საკითხებისა და მიღებული გადაწყვეტილებების შესახებ, საკრებულოსა და ბიუროს, საკრებულოს კომისიის სხდომის ოქმები ქვეყნდებოდა ვებგვერდის საშუალებით.
მოსახლეობის სხდომების ჩატარებისა და განსახილველი საკითხების თაობაზე მეტი ინფორმირებისათვის ასევე აქტიურად ვიყენებდით სოციალურ ქსელს. მინდა აქვე დავძინო, რომ ძალიან ხშირად ვერ ვიცავთ საკრებულოს რეგლამენტით გათვალისწინებულ ვადებს საკითხების მომზადების, წინასწარ გამოქვეყნებისა და კომისიებში განხილვის პროცედურებს. თხოვნა გვექნებოდა მუნიციპალიტეტის მერიის სამსახურებისადმი, რათა საკრებულოდან შესული კორესპოდენციებსა და მიმართვებზე, დროულად იქნეს რეაგირება და დაიცვან კანონმდებლობითა და საკრებულოს რეგლამენტით გათვალისწინებული ვადები საკრებულოს სხდომაზე განსახილველი საკითხების წარმოდგენისას.
რამდენიმე წინადადებით მინდა შევეხო საკრებულოს მუდმივმოქმედი კომისიების საქმიანობას:
განვლილ საანგარიშო პერიოდში 2023 წელში, აპარატის მიერ საკრებულოს კომისიებთან ერთად მომზადდა და ჩატარდა **73** სხდომა, განხილული იქნა **181** საკითხი, მათ შორის:

1.საფინანსო-საბიუჯეტო კომისიას ჩატარებული აქვს 15 სხდომა, განხილულია **27** საკითხი, (მათ შორის ერთი გაფართოებული).

2.ეკონომიკური პოლიტიკის, ინფრასტრუქტურისა და ქონების მართვის კომისიამ ჩაატარა **15** სხდომა განიხილა **60** საკითხი.

3.განათლების, სპორტის, ჯანმრთელობის დაცვის, სოციალურ საკითხთა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიამ **12** სხდომაზე განიხილა **30** საკითხი (ერთი გასვლითი) .

4.გარემოს დაცვის, ბუნებრივი რესურსების მართვის და აგრარულ საკითხთა კომისიის სხდომისას წლის განმავლობაში განხილული აქვს **12** საკითხი, ჩაატარა **20** სხდომა საკითხი (მათ შორის ერთი გაფართოებული).

5.იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის 15 სხდომაზე განხილულია **44** საკითხი.

ჩატარებულია ფრაქცია „ქართული ოცნება“ 4 სხდომა, განხილულია 5 საკითხი.

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ საქართველოს ორგანული კანონის თანახმად, მუნიციპალიტეტი უფლებამოსილია განახორციელოს ღონისძიებები გენდერული თანასწორობის ხელშესაწყობად, ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის პრევენციის, ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების მიზნით. დღევანდელ ჩემს ანგარიშში დეტალურად არ შევეხები მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შექმნილ გენდერული საბჭოს საქმიანობას 2023 წელში, რადგან დღევანდელი სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებულია საბჭოს ანგარიშის განხილვა, რომელსაც წარმოადგენს საბჭოს მდივანი.

კიდევ ერთი საკითხი, რომელიც საქართველოს მთავრობის ინიციატივით დაიწყო გასული წლის დასაწყიში და მუნიციპალიტეტის მერიასთან ერთად აქტიურად ჩავერთვეთ, შეეხება სოციალურად დაუცველი პირების დასაქმების პროგრამას. აღნიშნულ პროგრამას სახელმწიფო 2022წლის აპრილის თვიდან ახორციელებს და დასაქმების ხელშემწყობ სხვა ღონისძიებებს შორის შრომისუნარიანი სოციალურად დაუცველი მოქალაქეების საზოგადებრივ სამუშაოებზე დასაქმებას ითვალისწინებს. მიუხედავად იმისა, რომ პროგრამას დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტო ახორციელებს, მოსახლეობის ინფორმირებისა და მხარდაჭერის, ასევე მონიტორინგის ნაწილშიც აქტიურადაა ჩართული მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური სამსახური და ჩვენის მხრივ მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატიდან ჩემს თანაშემწეს შრომითი ხელშკრულებით აქვს დავალებული. თუ პროგრამის დასაწყისში მუნიციპალიტეტში მხოლოდ 4 სოციალურად დაუცველი პირი იყო დასაქმებული, 2024 წლისათვის 147 ბენეფიციართან გაფორმდა ხელშეკრულება.

ჩემს ანგარიშში დეტალურად არ შეუდგები ადგილობრივი **ბიუჯეტის, ინფრასტრუქტურული პროექტების, სოციალურ და კულტურის მიმართულებით არსებულ საკითხებს, რადგან 2024 წლის პირველ კვარტალში საკრებულოს სხდომაზე მოვისმენთ მუნიციპალიტეტის მერის ანგარიშს 2023 წელში გაწეული მუშაობის შესახებ, სადაც წარმოდგენილი იქნება ყველა სამსახურისა და მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული ა.ა.ი.პ საქმიანობის შესახებ. მე მაინც მოგახსენებთ რამდენიმე ციფრს აღნიშნული მიმართულებებით თუ რა გაკეთდა და რა შედეგები გვაქვს ბოლო 9 წლის განმავლობაში.**

2024 წლის ბიუჯეტი განისაზღვრა 14 მილიონ 743 ათასი ლარით, რაც დაახლოებით 2-ჯერ მეტია 2014 წელთან (7 მილიონ 986 ათასი ლარი) შედარებით. შემოსავლები 2014 წელის ბოლოს შეადგენდა 10 მილიონ ლარს, ხოლო 2023 წელი დავხურეთ 20 მილიონ 744 ათასი ლარის შემოსავლებით. ადგილობრივ ხელისუფლებაში ჩვენი გუნდის მოსვლის შემდეგ, დახარჯული თანხების რაოდენობა ისეთ ძირითად მიმართულებებზე, როგორიცაა ინფრასტრუქტურის მოწესრიგება, კულტურა, განათლება , სპორტი, ახალგაზრდობის საკითხები, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მომსახურება 2-ჯერ და მეტად გაიზარდა, მაგალითისათვის მოვიყვან რამდენიმე ციფრს 2014 წელთან შედარებით.

1. ინფრასტრუქტურა - 2014 წელში ადგილობრივ ბიუჯეტში ინფასტრუქტურის მიმართულებით დაიგეგმა 564,0 ათასი ლარის სამუშაოები, მიმდინარე 2024 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებულია 1 მილიონ 316 ათასი ლარის სამუშაოების შესრულება (აქ არ შედის რგფ-ის თანხები).
2. დასუფთავება- 2014 წელში დასუფთავების ღონისძიებების დაფინანსება შეადგენდა 340.0 ათას ლარს, 2024 წლის ბიუჯეტით ამ მიმართულებით გათვალისწინებულია 2 მილიონამდე ლარის დახარჯვა (გაიზარდა 5.5-ჯერ).

3. კულტურა, განათლება სპორტი ახალგაზრდობა - 2014 წელში ამ მიმართულებით შესასრულებელი პროგრამები დაიგეგმა 809 ათასი ლარით, 2024 წელში ამ მიმართულებით დავხარჯავთ 2 მილიონ 800 ათას ლარს (გაიზარდა 3.5-ჯერ).
4. მოსახლეობის სოციალური დაცვა - 2014 წლის დამტკიცებული ბიუჯეტით იგი შეადგენდა 345.0 ათას ლარს, 2024 წლის ბიუჯეტით ამ მიმართულებით დაიხარჯება 1 მილიონ ლარზე მეტი (გაიზარდა 3-ჯერ). არ გამოვრიცხავ იმ გარემოებას, რომ წლის ბოლომდე 2024 წლის ბიუჯეტის მაჩვენებლები ამ მიმართულებით კიდევ გაიზრდება.

ჩვენ დავამტკიცეთ მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტი, რომლის დეტალური განხილვა მოხდა საკრებულოს კომისიებში, აიტვირთა მუნიციპალიტეტის ვებგერდზე, ასვე ჩვენს ამომრჩევლებს საშუალება ჰქონდა გაცნობოდა ბიუჯეტის პროექტს „ჩემი გაზეთის“ ფურცლებზე, მუნიციპალიტეტის მერიის მიერ მოეწყო საჯარო განხილვა მოსახლეობის მონაწილეობით. მუნიციპალიტეტის ახალ ბიუჯეტი კვლავ რჩება ორიენტირებული მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვაზე და სოციალური საკითხების გადაჭრაზე, პრიორიტეტული იქნება კვლავ ინფრასტრუქტურული პროექტების განვითარება, კვლავ გაგრძელდება სოფლის მხარდაჭერის პროგრამით სოფლის მოსახლეობისათვის აუცილებელი პრობლემების მოგვარება, აქტიურად მიმდინარეობს პრემიერის ინიციატივის ,,განახლებული რეგიონების პროგრამის ფარგლებში სამუშაოები. რაც გულისხმობს ქალაქ ბაღდათის ცენტრში წერეთლის და რუსთაველის ქუჩების რეაბილიტაციას, ჩვენი და მერიის ჩარევით დაემატა ვაჟა-ფშაველას ქუჩაზე არსებული შენობა ნაგებობებისა და სკვერის რეაბილიტაცია. ამჟამად სამუშაოები დასრულების ფაზაშია.

ასევე აქტიურად გრძელდება მუნიცპალიტეტში წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტემის რეაბილიტაციის პროექტზე მუშაობა, რომლის სამუშაოები მიმდინარე წლის პირველ ნახევარში დაიწყება. აღნიშნულთან დაკავშირებით ვთანამშრომლობთ საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის, გერმანული კომპანია "ფიხნერი"- ს და მსოფლიო ბანკის წარმომადგენლებთან .

როგორც მოგეხსენებათ მუნიციპალიტეტისათვის მნიშვნელოვანია ტურისტული პოტენციალის ათვისება და განვითარება. გასულ წელს ამ კუთხით მნიშვნელოვანი პროექტები განხორციელდა საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის ფარგლებში: მუნიციპალიტეტის 7 ტერიტორიულ ერთეულში 14 საოჯახო ღვინის მარანთან მისასვლელ საუბნო გზებს ჩაუტარდა რეაბილიტაცია და მომავალშიც გაგრძელდება, მოეწყო გარე განათება და საპარკინგე ადგილები, აქტიურად მიმდინარებს მუშაობა ღვინის ლაბორატორიის მიმდინარე წელში გახსნისათვის.

2024 წლის ბიუჯეტის პროექტის დამტკიცებისას ძირითადში წარმოდგენილი იყო ის მიმართულებები რაზედაც დაიხარჯება აღნიშნული თანხები, ჩვენი მიზანია, პროექტები და პროგრამები, რომელიც დაფინანსდება ამ ბიუჯეტით შესრულდეს დროში და ხარიახიანად.

ჩვენს საქმიანობაში ძალზედ მნიშვნელოვანია ადგილობრივი **ხელისუფლების ერთიანობის** პრინციპი, რომელიც გულისხმობს მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოთა ერთიან ორგანიზმად არსებობას, რაც დღემდე შენარჩუნებულია საკრებულოსა და მუნიციპალიტეტის მერიას შორის, საკრებულოს ყოველთვის ჰქონდა კოლეგიალურ თანამშრომლობაზე დამყარებული საქმიანობა, როგორც მუნიციპალიტეტის მერთან, ასევე მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამის სამსახურებთან.

მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტის ორგანოების **ურთიერთობა საქართველოს პარლამენტის წევრთან,** ბაღდათი-ტყიბული, თერჯოლა, ზესტაფონის მაჟორიტარ დეპუტატთან, რომელიც აქტიურად არის ჩართული მუნიციპალიტეტში მიმდინარე პროცესებთან. მიუხედავათ იმისა, რომ მისი სადეპუტატო მოქმედების არიალი მოიცავს 4 მუნიციპალიტეტს, იგი ყოველთვის პოულობს დროს და საშუალებებს აქტიურად ჩაერთოს მუნიციპალიტეტის საკითხების დადებითად გადაწყვეტის საქმეში.

ასევე მნიშვნელოვანია ჩვენი **მაჟორიტარი საკრებულოს წევრების** წვლილი ადგილობრივი მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების, მათი ჯანმრთელობის დაცვისა და პირადი პრობლემების მოგვარების საკითხებში. ყოველი მათგანი ზუსტად ფლობს ინფორმაციას მათ სამოქმედო ტერიტორიაზე მოქალაქეთა ყოფით ცხოვრებაზე.

რამდენიმე სიტყვით მინდა შევეხო საკრებულოში საკითხების განხილვის დროს არსებულ **ოპოზიციურ განწყობას.** განვლილი მუშაობის პერიოდში ხშირად იყო საკითხების განხილვის დროს განსხვავებული აზრი, ზოგჯერ კონსტრუქციულიც. ეს არ შეეხება მხოლოდ საკრებულოში წარმოდგენილ ოპოზიციურ პარტიებს,

რადგან უმრავლესობაშიც იყო აზრთა სხვადასხვაობა ცალკეული საკითხებისადმი,. მადლობა მათ ოპონირებისათვის და იმედია ეს განწყობა მომავალშიც გაგრძელდება.
დღევანდელი გამოსვლა მინდა დავამთავრო იმ პათოსით, რითაც დავიწყე. ის, რომ ჩვენი ქვეყანა ევროპული სახელმწიფო გახდა, ეს შეუქცევადი პროცესია. ახლა საჭირო არის კიდევ უფრო მეტი მონდომებით, მეტი მოტივაციით, ენთუზიაზმით, მეტი საქმის კეთებით, ჩვენი წვლილი შევიტანოთ, რათა ჩვენი ქვეყანა გახდეს რეალურად ევროპული სახელმწიფო. ავიხდინოთ მთავარი ოცნება, რაც არის ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა, მისი დეოკუპაცია და წარმატებულ სახელმწიფოდ ჩამოყალიბება.
და ბოლოს,
მინდა მადლობა გადაუხადო მუნიციპალიტეტის საკრებულოს ყველა წევრს, საკრებულოს კომისიისა და ფრაქციის თავმჯდომარეებს, საკრებულოს აპარატს, ნაყოფიერი საქმიანობისა და თანამშრომლობისათვის, ასევე მუნიციპალიტეტის მერიის ხელმძღვანელობას კონსტრუქციული თანამშრომლობისათვის, გისურვებთ ჯანმრთელობას და მშვიდობას, 2024 წელი ყოფილიყოს წარმატებული წელი თითოეული თქვენთაგანისათვის.
დიდი მადლობა.